

რედაქცია: სოლოლოკზე, ბლის ქუჩაზე, ბ. შაინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. ბარევე მცხოვრებთათვის: ВЪ Типографіи. Въ редакцію газ. „Дробръа“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—5 მან., სამის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

# დროეკ

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა: ცალკე ასოებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრებით სტრიქონზე—8 კაპ., ნვეულ-სტრიქონ-ცეროთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაყვადთ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს დაუბრუნდება.

## ტელეგრაფები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ლონდონი, 17 თებერვალს. სამარკანდის ლუბერნატორმა ტელეგრაფით აცნობა ლენერალ პაუჭქანს, რომ აელნიდამ მოსულეებმა მოიტანეს ამბავი, რომ აელანის შიშირი შირ-ალი მოკვდაო.

კიევი, 19 თებერვალს. 11 თებერვალს აღმოაჩინეს აქ საიდუმლო სტამბა თავის საბეჭდავი მაშინებითა და ასოებით, აღმოაჩინეს აკრთვე სხვა-და-ახვა უწყებების ყალბი ბეჭდები დოკუმენტები, რევოლუციური წიგნები, რევოლუციონები და ხანჯლები, შანდარმებსა და პოლიციას თოფებით დაუიფენ და ესროლეს; ესენიც იძულებული შეიქნენ, რომ იარაღი ეხმარათ. ამ შეტაკებაში მოკლულია ჟანდარმის უნტერ-აფიცერი, დაჭრილი პოლიციის ორი სალდათი და ერთი ჟანდარმი, ერთი ჟანდარმის აფიცერი გაკაწრულია. ხუთი ქალი დაატუსაღეს და 11 კაცი; სამი ამათვანი მიიმედარის დაჭრილი.

ლონდონი, 19 თებერვალს. ბუშინ მოვიდა აქ ძალკუტიდამ (ინდოეთილიმ)

ტელეგრაფმა, რომ იაკუბ-ხანს მიუწერია ინგლისის ღენერლისთვის წერილი, რომელშიაც აცხადებს ინგლისთან მორიგების სურვილს.

პეტერბურდი, 19 თებერვალს. ვახეთებში დაბეჭდილია წიგნი პროფესორის ბოტკინისა, რომელიც ამბობს, რომ გლეხი პროკუჭიევი მწუბუჭის ქამით ირის ავითაო.

„მმართველობის მოამბეში“ გამოცხადებულია, რომ მაკოვი დანიშნა შინაგან საქმეთა მინისტრად. ბრაფი ლორისმელიქოვი 19 თებერვალს მოსულა ასტრახანში და იწერება იქილამ, რომ აქეთკენ ქამით ავთიმოფები აღარ არიანო.

## საქართველო

უცნაური ნიშნები

ამ თვის 9-ს, 11 საათზე, ხარკოვის ლუბერნატორი თავადი ძაპოტკინი ჯდებოდა კარეტაში შინ წასასვლელათ. ის გამოვიდა ქალების ინსტიტუტიდან, საცა იმ ღამეს ბრწყინვალე დღესასწაული იყო. თავადი ძაპოტკინი მოლხენით იყო იმ ღამეს, ეტყობოდა ძალიან მხი-

არულად გვეტარებინა ის საღამო. ჩაჯდა თუ არა კარეტაში, ის ჩვეულებრივით მიჯდა მარჯვნივ კუთხეში და მარცხენა ფანჯარა გააღო წმინდა ჰაერის სასუნთქით. მასწი ქუჩერო. მშვენიერმა ცხენებმა, მსუბუქ კარეტამ წააქროლეს ლუბერნატორი თავის სახლისკენ.

ჯერ კიდევ კარეტა არ მირიხინებულ იყო საღამოზე, რომ ღამეში რევოლუციონმა იფეთქა, მოხვდა თავადს ძაპოტკინს „შომკლეს!“—ზარდაცემით წამოიძახა ლუბერნატორმა. მუჩერმა კიდევ უფრო მოსწვებით გააქენა ცხენები, რომ საჩქაროთ მიმდგარიყო ლუბერნატორის სახლთან და დაჭრილი თავადი ძაპოტკინი კარეტიდგან ჩამოვლო.

საიდანაც რევოლუციონი გამოვარდა, იყო თოვლის ნახვეტი ზეინათ ამართული. თურმე მკვლელი თოვლის კონწოლზე მჯდარიყო, მახლობლათ ფანარი ანათებდა. ღიდი ინგლისური რევოლუციონი ისე მარჯვით და ბეჯითად იყო ნასროლი, რომ ღია ფანჯარაში პირდაპირ ლუბერნატორს მოხვედროდა ტყვია მარცხენა ეპოლეტზე ზევიდან, ჩაემტერია კბიკბა და გარჩენილიყო ხერხემლის ძვალში. თეთონ ქუჩერს მოეკრა თვალი ლუბერნატორის დაჭრის შემდეგ ერთ ტანმორჩილ კაცისათვის,

## ფელტონი

ჩინოვნიკების აჯანყება ნაპოლში

(წერილი იტალიიდან)

31 იანვარს, საღამოს ქამს, მოვლილი შინ; წინ დამხვდა ფორტალიონი და მრამაწოდა „ღროების“ ნუმერი. ღელა-ენის გაზეთმა დამავიწყა სახლი და დასვენება: დავიწყე კითხვა და ამ სასიამოვნო კითხვით გართულმა ვიარე უგზო-უკვლოდ ზღვის ნაპირამდინ, სადაც ჩამოვჯექი ქვაზე და განვაგრძე კითხვა.

ბუნების სიტურფით და მღუმარე საღამოს სიამით დაყუმებული გრძობანი მსწრაფლ ამიღვლეა იმ ბენდერ ხელით ნაწერ სტრიქონმა, რომელმაც მახარა, რომ ეს ახალი წელიწადი შენ სამშობლოში „იმედით“ (ქურნ.) დადგებაო..

ამ მუქ-მფინარე ცისკარმა, ამ სულის ნექტარმა—ამ ერთმა სიტყვამ—იმედმა

\*) აქაურ ქალაქში კარბინერის სამხატურს ასრულებს კეთილშობილთაგანი; იმას თავს სამკუთხიანი ქუდი მხურავს და მხრებზე—გრძელო უსახლო წამოსახნაში.

დიღხანს ჩამაფიქრა... ღა ოცნების უსამზღვრო სიტკბოებით დამტკბარმა ყური არ ვათხოვე მიმავალ ხალხის ჩურჩულსა და ბავშვების ყვირილს: „Rivoluzione!“ „Dimostrazione!“

მაგრამ როცა უხშირეს ხმაურობა, მაშინ მეც იძულებით წამოვდექ და გვეჩქარე ოლოდოსკენ, საიკენაც მიიღტოდა ხალხი. ბავციდი თუ არა ძიიას (ქუჩა) და ავედი ოლოდოზედ, შორიდან მომესმა ერთი კიჟინა. ცნობის-მოყვარებამ დამსძლია, მიუბრუნდი ერთ მიმავალ ჯგუფას და ვკითხე:

— რა ამბავია, რა კიჟინაა ეს?

მრთმა მიპასუხა, რომ „მგონია, ხალხი იმიტომ აღელდებულა, რომ ახალმა სამინისტრომ მას ბევრი ხარჯი დაადგაო“.

— სინჰორე, თქვენ სცდებით, უთხრა ჩემს თან-მესაუბრეს მოხუცმა ერთმა, — ჩემის ჰაზრით ხალხის აჯანყება უნდა მივაწეროთ მენოტტი ბარიბალდის, რომელიც თავ-მოყვარეობით ჰბაძავს თვის მამას ამ გვარ საქმეებში....

— ო, დიო მისო, დიო! სარწმუნოება რა რიგად დამცირდა! წამოიძახა კაფითათად ერთმა ფრატემ (ბერმა). მს სწორედ მეორედ-მოსვლის ნიშანია, რომ ამ ზნე-

წამხდარ ხალხს განუზრახავს ჰაპის უუწმინდესობის შეურაცხყოფა და გადაყენება... ჰოი, ღროებავ! ჰოი, ზნეობავ!“

არც ერთის წინასწარმეტყველობა არ ასრულდა—ჩემმა მობაასე ფილოსოფოსებმა ერთმანერთის გაკვირვებით შეხედეს, როცა მეორედ გარკვევით გავიგონეთ ძანილი:

— Abbasso il municipio, abbasso il Sidaco, abbasso la Giunta!“ (ძირს მუნიციპია, ქალაქის გამგეობა), ძირს სინდიკი, ძირს ჯჰუნტა! ე. ი. მოსპვეთ-გადაყენეთო პირველიც და უკანასკნელიც).

ამის გამგონმა ავჩქარე ფეხი და შეუერთდი იმ გროვას, 200-მდინ სულს, რომელსაც წინ მიუძღოდნენ არეულობის მოთავენი. მათ ეჭირათ საერო ღროშა და მაღალი ხმით იმეორებდნენ ზემოხსენებულ სიტყვებს, რომლებსაც ხანდისხან უმატებდნენ:

— Viva Italia! Viva la liberta!“

ამ ჯგუფაში ისეთი ვიწროობა იყო, რომ ფეხების დაბეგვას ვინ იჩივლებდა, თუ კი გვერდების დანაყვას და ჯიბის სახადს ვინმე გაღურჩებოდა. აჯანყებულმა ხალხმა ოლოდოს ჩაუხვია და გაჩერდა S.-Giacomo-ს სასახლის წინ, სადაც



რომელიც ჩამორბენილიყო თოვლის ზენიდან, და გადვრდინა ქუჩა და შემალულიყო გზა-ხეულში. პოლიციას აქამდის ვერა შეუტყვიან-რა ამ საქმის.

საკვირველია, მაგ ამ მარტო ერთი არ არის ეს შემთხვევა: ერთი კიდევ მოხდა ამისთანა უცნაური ამბავი. აქვს თუ არა ამას და მეზენცვის მოკვლას რაიმე კავშირი და ამ ორს საკვირველს საიდუმლოება აქვს თუ არა კიდევ რაიმე შეთანხმებითი კავშირი ტრეპოვის დამტრელოთან ზასულიძის ქალის ამბავთან? არ ვიცით... ძველი ბევრნაირია. არის შინაური შეთქმულობითი კავშირი, როცა რამდენიმე კაცი ან თითქმის მთელი საზოგადოების წევრები, მისცემენ პირს ერთმანეთს რაიმე საქმის ასასრულებლათ და მერე ხან ერთი, ხან მეორე, ხან მესამე გვარი შემთხვევები თავს ამოუბნენ. არის კიდევ სულ სხვანაირი კავშირი ერთს გვარს უცნაურს მოვლინებას შორის: წარმოებითი კავშირი, შემდეგობითი კავშირი. მაგალითად, მოვა თუ არა გაზაფხული, საქართველოშიდაც ტყე შემოსება ფოთლით და ჩინეთშიდაც, თუქცა საქართველოსა და ჩინეთშია ხუთი ათასი ვერსტია და იქაურ-აქაური ტყეები ერთმანეთს პირობას ვერ მისცემდნენ ამა-და-ამ დროს ფოთლით და ყვავილები ერთად გამოვიდოთო, ან იქაური და აქაური ბულები ერთმანეთს სიტყვას არ მისცემდნენ, რომ ვარდს ერთს დროს ვუძღვროთო. აქ შემდეგობითი კავშირი შეთქმულობისგან კი არ წარმოადგება, არამედ ერთის საზოგადო მიზნებისაგან. მოვიდა გაზაფხული და ყოველგან ერთ-

ნაირი ნაყოფი მოიტანა; მოვა ზამთარი და ყოველგან თოვლით შეიმოსება მთები. მაშ რამელს მივაწეროთ ზემოხსენებული უცნაური მოვლენანი?..

„პეტერბურლის უწყებაში“, აი, რა სწერია: დარწმუნებით შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ძრავოტკინის სიკვდილი კერძო მტერობის საქმე არ არის, ამას აქვს რაღაც საზოგადო ხასიათი. ეს არ არის შინაური უკმაყოფილების შედეგი ორს წახუბებულს კაცს შორის; დღეს პეტერბურლში გავრცელდა საიდუმლოთ დაბეჭდილი ფურცლები, რომელშიაც გამოცხადებულია ახლანდელს მდგომარეობაზე უკმაყოფილება. ეს შემთხვევა ამტკიცებს, რომ ძრავოტკინის სიკვდილი იმავე მ ზეზების ბრალია, რომლებს გამო ო.დ.დ.საში, ხარკოვში, ძიევიში, პეტერბურლში და სხვაგან მოხდა არეულობაო.

დღევანდელს ჩვენს ვაზეთში დაბეჭდილია ძიევიდან მიღებული ტელეგრამა, რომელიც აცხადებს, რომ იქ მიუტუნიათ საიდუმლო სტამბის მოწყობილობა, საბეჭდავები და ღერებების დასაკრელი ბეჭდები სხვა და სხვა მთავრობის დაწესებულებითა, დოკუმენტები, რეგულაციები, ხანჯლები დაუჭერიათ ხუთი ქალი, თერთმეტი კაცი, სამი კიდევ დაჭრილა მძიმეთ. საქმე კიდევ იმითი უფრო მძიმდება, რომ ამ პაწაწა წრეს ხელი გამოუღია და ჟანდარმებისათვის უსროლია.

ბ. წერეთელი

მუნციპიის სხდომა იყო; დაიწყო დრო შის ქნევა და საშინელი ხმით ძახილი: „Abasso il Municipio! abbasso! ... და სხ. ამ დროს მათ მოასწრო პოლიციამ და დაუწყო თხოვნა: „უფალნო, გთხოვთ — შეაჩეროთ უწყისება“. ამ სიტყვებს მათ არავითარი ყურადღება არ მიაქციეს; მაგრამ, როცა ერთმა უზღვლმა პოლიციელმა წაავლო ხელი ერთ მოთავეთაგანს, მაშინ, გაგინარიან, გაცხარდა ხალხი ამნაირ ის უპატიობისაგან პოლიციის მხრით; მივარდნენ საწყალ წესის-მცველს და დააჯილდოვეს ზოგმა ჯოხით და ზოგმაც სილით. ამ ჟამად მოსწრებით გამოჩნდა ერთი პოლიციის აგენტთაგანი და ქაქანით დაიძახა: — სინპორი, უმორჩილესად გთხოვთ, მაგ უპატიურ უმეცარს თავი დაანებოთ, რადგანაც იგი უ-თქვენოთაც, ჩვენის მხრით სასტიკად დასჯილი იქნება უპატიობის მიყენებისათვის!“ სთქვა ეს, თანაც თავი მძიმედ მოიდრიკა და გამობრუნდა. ხალხს ეს სიტყვები მოეწონა, დაჰკრა ტაში და შესძახა: „Viva Italia! Viva la liberta!“

ამის შემდეგ აჯანყებული საზოგადოება გამობრუნდა, გაიარა პატარა გზა და მივიდა ქუჩა Medina-ზედ იმ სახლის წინ, სადაც ჰსცხოვრებს ასესსორი უფ. რენდინა. მოსამსახურებმა ამ სახლის ალყაფის კარებები მსწრაფლ მოხურეს და

მაგრად ჩაჰკეტეს. ამის მხილველმა ხალხმა ჯერ თვისი სიტყვები საჩქაროდ მაღალი ხმით გაიმეორა და მერე ასტეხა ერთი საზარელი სტვენა. აქედან კვალად დაბრუნდნენ ს.— ჰიაკომოს სასახლის წინ და აქაც გაიმეორეს „abbasso“-ს გრგვინვა და სტვენა. მუნციპიის შეშინებული უფროსის ბრძანებით სალდათებმა საჩქაროდ მოხურეს რკინის ალყაფის კარებები და მაგრად ჩაჰკეტეს. მაშინ აჯანყებულებმა ერთობ დაუტყინეს და— რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, მიაწვინენ კარებებს; მაგრამ ამ დროს მეორე მხრით კარებების მესერას შემოაბტა ერთი მუნციპიის ასესსორი და როცა ბოძლით აცოცდა იმოტენა სიმაღლეზე, რომ თვითუფლს შეეძლო მისი დანახვა, ქუდი მოიხადა და წარმოსთქვა:

„— უფალნო, უმორჩილესად გთხოვთ, ნუ აღვლევთ და აშფოთებთ მშვიდობიან მოქალაქეთა, რომელთაც არ იციან.. დარწმუნდით, რომ მოგენიჭებათ კმაყოფილება!“

მაათავა თუ არა ასესსორმა თავისი სიტყვა, შესძახა გროვამ: „დღევანდელია იტალიას! მაუბარჯოს თავისუფლებას! სინდიკად სხვა ამოგვიჩიეთ, ძირს ჰაიუსსო, ძირს!!“ ამის შემდეგ გროვა გამობრუნდა, და პოლიციის აგენტის და კარბინერების თხოვნით დაიშალა. რა მიზეზი იყო ამ ხალხის აჯანყები-

\* რამდენიმე ახალი ამბავი კიდევ ჩვენს მომავლის სამუდამო ტრუპისა შესახებ:

სცენის-მოყვარებს გარდაუწყვეტიათ, რომ რაც წარმოდგენებიდამ შემოსავალი იქნება, თვითონ უნდა გაიყონ როლები და თამაშობის დაგვარად; ანტრეპრიონერი არ იქნება; იქნება მხოლოდ რეჟისორი, (თ. ზ. მარისთავი), რომელსაც მინდობილი ექნება, პირ-და-პირ თავის მოვალეობის გარდა, წესდებისამებ, რ განაწილება მოთამაშეებში შემოსავლისა.

პირველი პიესა, რომელსაც უფ. არწრუნის ახალს თეატრში წარმოადგენენ, იქნება თ. ზ. მარისთავის კომედია „ბაყრა“, რომელიც პირველად იყო მორონცოვის დროს ნათამაშევი.

ამ ახლო ხანში კი ორი ქართული წარმოდგენა იქნება: თამაშობენ, ქობულეთლების სასარგებლოდ, თ. ზ. მარისთავის ფრანკულულიდამ გადმოკეთებულ ვოდევილს „მეო, მინას და კამპა.“ და, ერთი სტუდენტის სასარგებლოდ, უფ. ბ. სუნდუკიანცის კომედია „ბიდევე ერთი მსხვერპლს“.

\* ბათუმდამ გეწერენ, რომ, რადგან სამზღვარ გარეთის საქონელს მომეტებული ბაჟა დადევს (ბათუმდამ ვატანის დროს), ამის გამო უცხო ქვეყნების სავაჭრო ხომალდები ამ უკანასკნელ დროს თითქმის სრულიად აღარ მოდიან ახლა აქაო და საქონელი აღარ მოაქვთო. ბათუმელ ვაჭრებმა ახლა ოფილისში დაი-

სა? მინ იყენენ მისი მოწინავენი? რა დაუშვა მათ მუნციპიამ, ან ჰჰუნტამ? რას ეჩიოდნენ სინდიკს, გრაფ ჰაიუსსო, ან ასესსორს უფ. რენდინას? ამ კითხვებზედ ვერაგინ ვერ მომიგო ზედ-მიწვენილი პასუხი, სინამ მეორე დღეს ეს ამბავი ვაზეთებში არ გამოცხადდა. აი ერთი აქაური ვაზეთი „Il puncio“ რას ამბობს ამ არეულობაზედ:

„პარასკევს, 31 იანვარს, ერთი ნახევარ-ასი მომეტებული ჩინოვნიკებისა შეგროვდა სალამოს რვა საათზედ დანტეს მოედანზედ და იქიდან დაწყებული ვიდრე ს.— ჰიაკომოს სასახლემდინ ვაიარეს მთელი ტოლფლო ყვირილით; „abbasso il Municipio, abbasso il Sindaco, abbasso! la Giunta!“ ეს ნახევარ-ასი, სინამ გაივლიდა ტოლფლოს ორასად იქცა და ს.— ჰიაკომოს დარბაზის წინ უფრო იმრავლა.

„ამ დროს შალაქის რჩევის ზალაში სხდომა თუქცა ვათავებული იყო, მაგრამ სინდიკი ჩვეულობრივ კიდევ ბაასობდა ზოგიერთა ასესსორებთან. აჯანყებულ ჩინოვნიკების გროვამ მუნციპიის წინ რამდენჯერმე შესძახა უკმაყოფილობის ხმა; აქედან დაბრუნდა ეს ხროვა და მივიდა იმ სახლის წინ, რომელშიაც სცხოვრებს ასესსორი კვალერი რენდინა, აეტორი იმ ორგანიზაციურ პროგრამისა, რომელიც ესე მწარედ



წყეს სიარული და მანდემამ მოაქეთ საქონელი, რადგან რუჟის საქონელს ბაჟი არ აძვესო.

\* \* \* ზორიღამ გეწერენ, რომ ამ თებერვლის 14-სიქყოფილა კრება იმ პირთა, რომელთაც განზრახეს საქალბო პროგიმნაზიის გახსნა ზორში და ამოურჩევით რამდენიმე პირი, რომლებიც იზრუნვენ როგორც ფულის მოკრებაზე ხსენებულ პროგიმნაზიისათვის, აგრეთვე ამ ფულის ხეირიანად ნოხმარებას და სასწავლებლის გამართვაზე. პარკესპონდენტი გეწერს, რომ ამორჩეულ პირთა უნდა იშუამდგომლონ მთავრობასთან, რომ პროგიმნაზიის გახსნის უფლება მიეცეს ზორში და დამატკიცოს ამ პროგიმნაზიისათვის მზრუნველი საზოგადოების წესდება.

\* \* \* ჩვენ მივიღეთ გაზეთში დასაბეჭდად შემდეგი შენიშვნა: „ბავკახის“ 31 ნომერში დაბეჭდილია ოფილისის სასულიერო სემინარიის პრავლენიის თავსჯდომარის არხიმანდრიტის აბრამის და წევრების: ინსპექტორის ივ. ტუშინსკის, მასწავლებლის ივ. ზორტინსკის, დეკანოზი პავლიევის და სემინარიის ექიმის ნ. სობოლსნიკოვისაგან შემოწმებული აქტი შესახებ იმ შენიშვნისა, რომელიც ამას წინათ დაბეჭდილი იყო გაზეთს „ღრობაში“.

ამ აქტში შემოხსენებული პირები ამბობენ, რომ ვითომც ამათ თერთონ შემამოწმეს 3 თებერვალს საჭკლები, რომელიც ეძლევათ აქაურ მოსწავლეებს და იცვენეს კარგათ და მარგებელად. მართალია, 3 თებერვალს მამა რექტორი დილიდგან შეუდგა, რომ ამ დღეს რიგინათ გაეკეთებათ საჭმელები, მერე თორმეტ საათზე დაიბარა ექიმი სობოლსნიკოვი და პრავლენიის წევრები მასწავლებელი ი. ზორტინსკი და დეკანოზი პავლიევი და აჩვენეს ამათ პური და ერთი უმჯობესი კერძი ხორცი. რა გასაკვირველი არის, რომ ასი კაცის კერძში ერთი რიგინი გამოაჩინონ და ისიც კიდევ მაშინ, როდესაც იმ განზრახვით მოამზადეს რექტორმა და ინსპექტორმა იმ დღის სადილი, რომ მოსწონებოდათ ის ექიმს და წევრებს!

„აბა უფ. სობოლსნიკოვმა, პავლიევმა და ზორტინსკიმ იმისთანა დროს ნახონ სემინარიის საჭმელი, როდესაც რექტორმა და ინსპექტორმა არ იცოდნ იმათი მოსკლა. მაშინ ისინი დარწმუნდებიან, რომ ხორციც, თევზიც, ზეთიც და კომბოსტოც დამპალი ეძლევა მაგირდებს. რას იტყვის უფ. სობოლსნიკოვი იმაზე, დეკემბერში რომ იმას თვალები აუშმეს ამ სემინარიის მოსწავლეებმა დამპალი ზურგიელის ნაჭრებით, რომლის ჭამაც ყოველად შეუძლებელი იყო და მოსწავლეები ამდენი ცუდი საჭმელისაგან მოთმინებიდგან გამოსული, თუცა რექტორიც ამ დღეს იქ იყო, ადგენენ მშიერები და გამოვიდენ ისე, რომ დამპალი ზურგიელისათვის ხელიც არ უხლიათ! ნუ თუ უფ. პავლიევი და ზორტინსკი თავისის ერთხელ მობრძანებით სემინარიაში და საჭმლის ნახვით ამტკიცებენ, რომ აქ ყოველ დღეს კარგი საჭმელი ეძლევათ მოსწავლეებს? ითუ რიგინი წევრები არიან, რატომ თვეში ერთხელ მაინც არ მოვლენ და არ ნახვენ, თუ როგორი იმას, რომ დეკარგამთ ძალას და დეზორდებით იმ პრინციპებს, რომლებზედაც დაფუძნებულია წესიერება და ხალხის კეთილდღეობის წარმატება.“

„ამის შემდეგ რას გვეტყვიან გემინდელი დემოკრატები, რომელთაც მოახდინეს აჯანყება არა ნაციის ინტერესისათვის, არამედ თვის საკუთარ ჯიბისთვის?! მს შემთხვევა ისე საოცარია, რომ ვერ შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორ მოუფიდათ თავში ეს ჰაზრი იმ პირთა, რომელთაც ჯიბისათვის ამ გვარად თავი გამოიჩინეს! რას იტყვის ქვეყანა, რომ ხვალ (წარმოვიდგინოთ ესე) რომში სამინისტროს ჩინოვნიკებმა მინისტრის მამიანის და დეპრეკის სახლების წინ ასტეხონ კიჟინა: „გადააყენეთ პირველი და მეორეცაო?“

„მართლა რომ სამძიმოა ჩინოვნიკებისათვის ის, რომ, ახალი პროგრამის ძალით, ბევრი მათგანი უსამსახუროთ და უჯამაგიროთ დარჩება, უფრო სამწუხაროა, რომ მათი ცოლშვილი ცხოვრების უსაშუალოდით შეწუხდება. მაგრამ რა ექნათ?! საჭიროა თუ არა ამ პროგრამის ძალა-ჰაზრის სისრულეში მოყვანა? ღიად-ძლიერ საჭიროა. გეასწავლეთ—როგორ უნდა მოვიქცეთ სხვა გვარად იმ შემთხვევაში, როდესაც (ეს ხომ მთელმა იტალიამ უწყის—რა მდგომარეობაშია ნაპოლი), რომ ყოველ წე-

საჭმელი ეძლევათ აქაურ მოსწავლეებს? იმ დღემდინ უ. ზორტინსკი და პავლიევი ერთხელაც არ უნახავთ პურის-საჭმელ ოთახში და სამხარეულოში შესული.

„შემოხსენებულ აქტში ბოლოს გამოყვანილია დასკვნა, რომ შეუძლებელი არის ის აზრი, რომ მაგირდი ოფიურია მომკვდარიყოს ცუდი საჭმელისაგამო. მამ ნეტავი რა მიზეზს აწერენ ისინი ამ მოსწავლის სიკვდილს? რა გაუფუჭებს კაცს ისე კუჭს, როგორც ოფიურისა ქონდა, თუარა ცუდი საჭმელი? და ოფიურია რომ კუჭის გაუფუჭებისა გამო მოკვდა, ეს ხომ თვითონ უ. სობოლსნიკოვმა და მაჭეარინამა დამატკიცეს.

„უფ. სობოლსნიკოვმა იცის—რითი არიან უმეტესი ნაწილი აქაური მოსწავლეების ავით: კუჭის სისუსტით, თუ არა?“

წერილი რედაქტორთან

უფ. რედაქტორო!

შემოხსენებულ გთხოვ მისცეთ ადგილი თქვენს გაზეთში შემდგომს ჩემს განცხადებას:

მე-31 ნომერში გაზეთისა „ღრობა“ იყო დაბეჭდილი შენიშვნა რომელიმე უცნობის კორრესპონდენტისა შემო-იმერეთიდან, რომელშიაც ლაპარაკობს დიდ ავთმყოფობაზე და სიკვდილზედ შორაპნის უფნდში, ნამეტურ დაბა შვირილაში, სადაც ყოველ დღე კვდება ორ-ოლი ყმაწვილიო.

მითარცა ადგილობრითი უფნდის ექიმი

ლიწადს ჰსჯარბობს ხარჯი ქალაქის შემოსავალს? როგორ უნდა შევამციროთ ჩვენ ქალაქის ხარჯის ჯამი?“

„მის ექნება ისეთი გაქვავებული გული, რომ დაუფიქრებლად მომატებული გარდასახადი დასდვას და დატვირთოს ხალხი, რომელიც უიმისოთაც ბევრს ხარჯს იხდის, მაშინ როდესაც შეიძლება სხვა წყაროების დაწყევით შევაჩეროთ ქალაქის ხარჯი. მართალია, ჩინოვნიკების მომავალი მდგომარეობა ძლიერ დასადრწმუნებელია, მაგრამ, ერთი ვითხარით—მოვალენი ვართ თუ არა ჩინოვნიკება შევაწუხოთ და შევამციროთ ხალხის ინტერესისათვის, თუ ხალხი დაეჩაგროთ ჩინოვნიკების ჯიბის სასარგებლოდ?“

„ითუ მათ ახალი პროგრამა არ ექა-შნიკათ და ჰსურდათ გამოეცხადებინათ მთავრობისათვის თავისი წინააღმდეგი წინააღმდეგა, ამ შემთხვევაში იმათ არეულობა კი არ უნდა მოეხდინათ, არამედ როგორც რიგია—კანონიერი ქალაქი უნდა შემოეგტანათ.“

„იმელი გვაქვს, რომ მომავალში ჩვენი ჩინოვნიკები გაასწორებენ თავის ყოფაქცევას და აღარ მოახდენენ უწყსობას.“

ა. ბ.



ეთელი საჭიროდ გამოცხადდა, რომ ამ ქვეყანაში სხვა-და-სხვა ადგილებში უფლებას არის მართა ავთომყოფნი ყვაილითა და არა ვითარცა სხვა განსხვავებული ავთომყოფობა არ არის და წამეტურ სიკვდილი მთელ უფლებში. რაიცა შეეხება სიკვდილს დაბა შეირილაში, ეს არის სრული გულჩანოლობითი(?) სიცრუე უქმად მოსიარულე(?) კორრესპონდენტისა, რომლის დამტკიცებასაც არ ვთვლი საჭიროდ.

შესახებ ჩემის მედიცინის ცოდნისა კორრესპონდენტს არა ძალუფს იყვეს მსაჯულად.

შესახებ უკანასკნელი განცხადებისა, რომელ მე ვითომც ავთომყოფები ვერ მეკარებოდენ უზომო მოთხოვნებისაგამო, ესეც კიდევ სრული სიცრუე არის უცნობის კორრესპონდენტისა, რომლისაგანაც მე ვთხოვლობ დამტკიცებითი განმეორებას. არ იყო ჯერ არც ერთი მაგალითი, რომ მე უარი მეყოს, გარდა კანონიერის მიზეზისა, ავთომყოფის ნახვებზე; არამედ განმავლობასაშინა ჩემის ხუთის წლის აქ მყოფობისა, მე დიდი მადლობელი ვარ მრავლების ჩემის პაციენტებისა, შორაპნელებისაგან აღმოჩენისათვის ჩემზედ სრულის დარწმუნებისა.

შორაპნის უფლის ექიმი პ. ბერნო

შეირილა, 14 თებერვალს.

## განცხადებანი

თფილისის გუბარნიის თავდაუნაშურთა საზოგადოების რეჟალგალ მოსწავლეთა რეჟალგალისათვის გაგზავალ კომიტეტისაგან.

რადგანაც „საზოგადოების“ შკოლაში ყველა ვაკანსიები დატყრილნი არიან, ამიტომ არზის შემოტანა ამ ქვეყანაში აღარ

შეიძლება. შკოლელები, რომელნიც ჯერ არ ირიან მოყვანილნი, უსათუოდ უნდა გამოცხადდნენ 24 თებერვალამდე, თუ არა და გამოორიცხულნი იქნებიან სიდიამ. ბარედამ მოსიარულე მოწაფეთაგან რომელნი არიან განთავისუფლებულნი სწავლის ფასისაგან—ამის შეტყობა შეიძლება თვით შკოლაში.

უფ. ბ. ჩარკვიანის წიგნის მალაზიაში და აგრეთვე შუთაისში—უფ. ძ. მესხის მალაზიაში ისპილება

## „პაი ზკუისაგან“

პომედია ოთხ მოქმედებად ზ რ ი ბ ე დ ო ე ს ა . ნათარგმნი ზრ. ა. წინამძღვაროვის-მიერ.

შასი—მეძის შაური

რუსის ჩაის მავროპისაგან

ახლად მიღებულია საუკეთესო **ჭუ-რუანის ჩაი** 10,000 გირვანქა.

შასი გირვანქა ჩაისა 1 მან. და 20 კავიციდამ 8 მანეთამდინ. მე მივიღე ჩემი მუშტრებისაგან ჭურუანის ჩაისთვის ბევრი მადლობა წერილით. იმედი მაქვს, რომ მომავალი ჩემი მუშტრები კიდევ უფრო კმაყოფილი დარჩებიან.

შეიძლება გირვანქობით ყიდვა და ნარდათაც. მალაზია კისრულობს თავის ხარჯით გაგზავნოს ფორტითა.

აღრმესი მალაზიისა: მიხაილოვის ხიდი, მირზოვის სახლი, „ძვეკაზის“ რედაქციის ქვემოთ.

მაჭარი ა. პოლოსხინი.

## „ჰაერ ოსტატი“

ძამედია ოთხ-მოქმედებად, თხზულება მ. ჯორჯაძისა

თფილისში უფ. ბ. ჩარკვიანის წიგნის მალაზიაში და **„შუთაისში“** უფ. ძ. მესხის წიგნისგან მალაზიაში ისპილება:

## ალმანახი

შედგენილი

ბ. თუშანიშვილისაგან

წიგნი მეორე

ბამოცემული ბ. ჩარკვიანისაგან შასი—ორი აბაზი

(5—3)

გამოვიდა და ისპილება

## „ბუბიაოლა“

ვლდევშილი

აკაკი წიკრეთლისა

ისპილება: ჩარკვიანის, მართანოვის და ბრიქუროვის წიგნის მალაზიებში, აგრეთვე უფ. შავერდოვის ბაზეთის სააგენტოში—ბულვარზე.

შუთაისში—უფ. ძ. მესხის წიგნის მალაზიაში.

შასი—ერთი აბაზი.

(5—5)

ლექსები

## „სიყვარული“

შედგენილი ანთ. ჯუღელისაგან გამოვიდა და იყიდება თფილისში ჩარკვიანის, მართანოვის, ბრიქუროვის და სხვა წიგნის მალაზიებში და „ივერიის“ რედაქციაში. სამეგრელოში დ. სუჯუნას, ბ. მოფურხიძის დუქანში და აბაზის სტანციაზე პ. მელიქოვის დუქანში, ზესტაფონს ჩუბინიძის და ძოსტაფასდუქანში.

შასი ორი შაური. მცხ. ეგზეგმლიარს ვინც იყიდის ერთად, მას თითო ეგზეგმლიარი დაეთმობა რეა კობ. მეტს ვინც იყიდის იმას შეილ კობეკათ.

რძ. მზა.	დღა.	საღა.	II კ.	III კ.	ბელგრადში	მან. კაპ.	გაზანდა	მან. კაპ.	თფილისის სამკურნალო.
თფილისი	9/21	5 18	8 კაპ.	8 კაპ.	მცხ. სიხევა თფილისიდან:		თფილისი, 21 თებერვ.		მრევნის მედანზე, წინამძღვაროვის სახლებში.
მცხეთა	10/11	6 27	- 68	- 38	ძვეკაზისი აქეთა მხრის ყველა ქალაქებში.	50	შქვ. თეთ. ბანჯინა, ფთ.	1 60	ავთომყოფებს მიიღვენ ყოველს დღე დილის 9 საათიდან 1-მდინ.
ბორი	11/58	9 43	2 40	1 33	როსტოვს, მდესას, მოსკოვს	2	შქვილი წითელი	1 30	
საშური	1/29	11 57	3 92	2 18	პეტერბურლს, ვარშავას.	2	შქერი ფუთი	1 20	
სურამი	1/44		4 42	2 46	მსმალეთში, შვეიც. რაში.	3	ბაბა მრევნისა, ფუთი	7 40	მ. რ. შაბათს: მერმიშვილი და ბარლევინი—შინაგ. ავთ., შიურჩარიანცი
შეირილა	5/49		5 81	3 23	იტალიაში და საფრანგეთში.	3 50	— ამერიკისა, ფუთი	8 50	როიანცი—საჯარო ექიმი და საშვილოს ოპერაციები.
რიონი	6/57		6 75	3 75	ინგლისში	3 75	ბაპენტლი ბაბა ფუთი.	9 50	სამ შაბათს: მერმიშვილი—შინაგ. ა. ბ. ხუტოვი—საბებიო და ბავშვის, პეტუნოვი—თვალის.
სამტრედია	7/51		7 73	4 29			მატყლი თუშური ფუთი.	6 50	მ. თხ შაბათი: მერმიშვილი შინაგანი.
ახალ-სენაკი	8/43		8 57	4 76			— თარაქამისა ფუთი	4 40	შქვის, პეტუნოვი—თვალის.
ფოთი	9/50		9 75	5 42			აბრეშუმი ნუხური სტ.	2 10	მ. თხ შაბათი: მერმიშვილი შინაგანი.
შოთი	9/3						შონი, ფუთი	5 60	მ. თხ შაბათი: მერმიშვილი შინაგანი.
ახალ-სენაკი	10/14		1 18	- 6			შონის სანთლი ფუთი	7 50	მ. თხ შაბათი: მერმიშვილი შინაგანი.
სამტრედია	11/5		2 6	1 14			სტეარინის სანთელი ფთ.	12 60	ხუთ შაბათს: მერმიშვილი—შინაგ., შიურჩარიანცი—სიჭირიტიკუნი და საშარღო ორგანების.
რიონი	12/13		3	1 69			ხორცი ძროხისა, ლიტ.	1 8	პარასკევს: მერმიშვილი—შინაგ., ა. ბახუტოვი—სამებიო ქალისა და ბავშვების.
შეირილა	1/18	ლაშე.	3 9	2 21			— ცხვრისა, ლიტრა.	1 8	შაბათს: მერმიშვილი—შინაგ., შიურჩარიანცი—სიჭირიტიკუნი და საშარღო ორგანების.
სურამი	5/12	1/10	5 33	2 96			სპირტი ვედრო.	4 60	პარასკევს: მერმიშვილი—შინაგ., ა. ბახუტოვი—სამებიო ქალისა და ბავშვების.
საშური	5/39	1/37	5 84	3 24			შაქარი, ბროც. ფუთი	7 30	შაბათს: მერმიშვილი—შინაგ., ა. ბახუტოვი—სამებიო ქალისა და ბავშვების.
ბორი	7/5	4 87	36	4 9			— ფხვნილი ფუთი	5 40	შაბათს: მერმიშვილი—შინაგ., ა. ბახუტოვი—სამებიო ქალისა და ბავშვების.
მცხეთა	8/50	6 59	9 8	5 4			შავი ტრევალი, გირვ.	— 70	შაბათს: მერმიშვილი—შინაგ., ა. ბახუტოვი—სამებიო ქალისა და ბავშვების.
თფილისი	9/31	7 56	9 75	5 42			თამბაქო, საშუალო ფთ.	6 80	პეტუნოვი—თვალისა.